გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება №135

2022 წლის 8 ივლისი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ელიზა ბერიაშვილს შორის 2019 წლის 04 ივლისს, გაფორმებული №24 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 09 მარტის №43 განკარგულებისა და ,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 09 მარტის №44 განკარგულების საფუძველზე, აუქციონი შედეგად, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ელიზა ბერიაშვილს შორის 2019 წლის 04 ივლისს გაფორმდა №24 პრივატიზაციის ხელშეკრულება იმ პირობით, რომ პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი გორი,სუხიშვილის ქუჩის მიმდებარედ, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 394.00 კვ.მ; ს/კ 66.45.08.162) მყიდველი ვალდებული იყო მოეხდინა მიწის ნაკვეთის განაშენიანება და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება განეხორციელებინა პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადაში.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესული იყო ელიზა ბერიაშვილის განცხადება, რომლითაც ელიზა ბერიაშვილი ითხოვდა მითითებული პირობის ვადის გაგრძელებას ერთი წლით, რაც, პანდემიიდან გამომდინარე არსებული შეზღუდვების გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნდა და „გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ელიზა ბერიაშვილს შორის 2019 წლის 04 ივლისს, გაფორმებული №24 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 ივლისის №134 განკარგულებით მიეცა თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ელიზა ბერიაშვილს შორის 2019 წლის 04 ივლისს, გაფორმებული №24 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი გორი,სუხიშვილის ქუჩის მიმდებარედ, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 394.00 კვ.მ; ს/კ66.45.08.162) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 3 (სამი) წლის ვადის

განსაზღვრის თაობაზე. აღნიშნულის საფუძველზე შეტანილ იქნა სათანადო ცვლილება პრივადიზაციის ხელშეკრულებაში და პირობის შესრულების ვადა გაგრძელდა ერთი წლით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია ელიზა ბერიაშვილის განცხადება, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე არ არის მისასვლელი გზა, რის გამოც ხელი ეშლება განაშენიანების განხორციელებაში და შესაბამისად პირობის შესრულებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე ელიზა ბერიაშვილის მიერ მოთხოვნილია მითითებული პირობის ვადის გაგრძელება კიდევ ერთი წლით, რაც არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ელიზა ბერიაშვილს შორის 2019 წლის 04 ივლისს, გაფორმებული №24 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი გორი,სუხიშვილის ქუჩის მიმდებარედ, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 394.00 კვ.მ; ს/კ66.45.08.162) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 3 (სამი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 4 (ოთხი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და 163[4] მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ელიზა ბერიაშვილს შორის 2019 წლის 04 ივლისს, გაფორმებული №24 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი გორი,სუხიშვილის ქუჩის მიმდებარედ, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 394.00 კვ.მ; ს/კ66.45.08.162) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 3 (სამი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 4 (ოთხი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე